п 34/656 РХ 4541/1

ინფორმაცია ვიზიტორებისთვის

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები

ლაგოდეხის დაცული ტერიტორია საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ლაგოდეხის რაიონში მდებარეობს და განფენილია დიდი კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთებზე. დაცული ტერიტორიის სიმაღლე ზღვის დონიდან 400-დან 3500 მეტრამდე მერყეობს.
ლაგოდეხი საკმაოდ მდიდარი რაიონია - მევენახეობის, მეფუტკრეობის, მესაქონლეობის, მებოსტნეობისა და მებაღეობის, რძისა და ზეთის წარმოებისთვის აქ ყველა პირობა არსებობს. მაგრამ ლაგოდეხს აქვს კიდევ ერთი სიმდიდრე, რომლის მატერიალურად შეფასება ყოვლად შეუძლებელია.. ეს სიმდიდრე ლაგოდეხის ბუნებაა - ერთმანეთის მონაცვლე გასაოცარი რელიეფებით, იშვიათი მცენარეებითა და ნადირ-ფრინველით. გასაოცრად მდიდარი ლაგოდეხის ტყეები და მთები თავისი მრავალფეროვნებით არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის მასშტაბითაა გამორჩეული და ჩვენი ქვეყნის ნამდვილ საგანძურს წარმოადგენს.
ფლორითა და ფაუნით მდიდარმა ამ ადგილებმა ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში მიიზიდეს ბუნების მოყვარულთა ყურადღება. ლაგოდეხის პოპულარიზაციაში დიდი როლი შეასრულა პოლონელმა ნატურალისტმა მლოკოსიევიჩმა - სწორედ მისი ინიციატივით კავკასიური როჭო დამოუკიდებელ სახეობად აღიარეს და აღმომჩენის პატივსაცემად მისი სახელი უწოდეს *Tetrao mlokosiewiczi*. მლოკოსიევიჩის სახელს ასევე უკავშირდება ლაგოდეხის ტყეებში აღწერილი რამდენიმე მცენარის სახეობა და დენდროპარკი, რომელიც დაცული ტერიტორიის მიმდებარე ზონაში დღემდე არსებობს.
1903 წელს ლაგოდეხის ხეობა იჯარით გადაეცა თავად დემიდოვს. წესები, რომელიც რუსმა თავადმა მისთვის გადაცემულ მიწებზე დაამყარა, მკაცრი იყო. ამ ტერიტორიებზე ნადირობის უფლება მხოლოდ დემიდოვის ოჯახის წევრებსა და სტუმრებს ჰქონდათ. ნადირობა, ხის ჭრა, საქონლის ძოვება და თიბვა - ყველა დანარჩენისთვის აკრძალული იყო. რუსი თავადის მიერ შექმნილი მეურნეობა ნაკრძალის ფუნქციას ასრულებდა.
1912 წლიდან კი რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოებისა და მეცნიერებათა აკადემიის შუამდგომლობით ლაგოდეხის ხეობა ნაკრძალად გამოცხადდა - აიკრძალა ხის ჭრა, ნადირობა და საქონლის ძოვება. ეს იყო პირველი ოფიციალური დაცული ტერიტორია საქართველოში.
მეორედ ნაკრძალი უკვე საბჭოთა ხელისუფლების დროს, 1929 წელს დაიბადა. 1935 წელს კი გაფართოვდა და მას სალესავის ხევისა და ბნელი ხეობის მდინარეთა აუზები მიუერთდა. 1945 წელს ნაკრძალს ალპური და სუბალპური იალაღებიც მიუერთეს. ამ მოვლენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ნაკრძალმა უკვე ლაგოდეხის რაიონში არსებული კლიმატური ზონებისა და ლანდშაფტების მთელი სპექტრი მოიცვა. საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში მისი ტერიტორია 17 818 ჰექტარს მოიცავდა. აქედან 12 146 ჰექტარი ტყით იყო დაფარული, მინდვრებსა და ალპურ იალაღებს 4 889 ჰა, ხოლო კლდეებსა და ნაშალს 539 ჰექტარი ეკავა.
საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ, დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პირველ წლებში, როდესაც ქვეყანაში სამოქალაქო ომები და განუკითხაობა სუფევდა, ნაკრძალის მდგომარეობა ძალიან დამძიმდა. დაცულ ტერიტორიაზე სანადირო და ავტომატური იარაღით აღჭურვილი ხალხის მასიურმა შეღწევამ მსხვილ ცხოველთა პოპულაციები კატასტროფის წინაშე დააყენა. სულ რამდენიმე წელიწადში მნიშვნელოვნად შემცირდა ჯიხვის, არჩვის, ირმის, დათვის, შვლისა და გარეული ღორის პოპულაციები.
2003 წელს დაცული ტერიტორიის გაფართოებისა და მის ფუნქციონირებაში ახალი სფეროს - ტურიზმის განვითარების ინტეგრირების მიზნით ლაგოდეხის ნაკრძალის ბაზაზე შეიქმნა ორი დაცული ტერიტორია: **ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი** (22 266 ჰა) და **ლაგოდეხის აღკვეთილი** (1 992 ჰა). შედეგად, ლაგოდეხის დაცულმა ტერიტორიამ მისი ძირითადი როლის - ბუნების დაცვის პარალელურად - საგანმანათლებლო და რეკრეაციული ფუნქციებიც შეიძინა.

ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიაზე შესაძლებელია შემდეგი სახის ტურების ორგანიზება:

1. ფრინველებზე დაკვირვება
2. სათავგადასავლო ლაშქრობები
3. ისტორიულ-კულტურული ტურები
4. ტურები ფოტო მოყვარულთათვის
5. სამოყვარულო თევზაობა
6. კემპინგი ღია ცის ქვეშ და კარვებში ღამის თევა

ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიაზე მოგზაურობისას აკრძალულია:

- ცეცხლსასროლი ან ცხოველის მოსაპოვებლად ნებისმიერი იარაღის თანხლება.
- მცენარეების, ქანების ან ნამარხი მასალების შეგროვება.
- ფაუნის ნებისმიერი წარმომადგენლის დაჭერა, გამოდევნა, ზიანის მიყენება.
- ხეებზე ასვლა, კლდეებზე აძრომა, გამოქვაბულში შესვლა ან ხევისპირზე დგომა.
- ისტორიული ძეგლის დაზიანება, ნაშთების შეგროვება, თვითნებური გათხრების წარმოება.
- ცეცხლის დანთება, გარდა სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა.

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ფლორა და ფაუნა

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიის ფლორის მრავალფეროვანება გასაკვირი არ უნდა იყოს - ნაკრძალში სიმაღლეთა სხვაობა 3000 მეტრია და ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე ჰაბიტატთა მონაცვლეობა, დაბლობში ჭალის ტყეებით დაწყებული და მაღალ მთაში თითქოს უსიცოცხლო კლდეებით დამთავრებული, თავისთავად იწვევს ისეთ მრავალფეროვნებას, როგორიც საქართველოს არცერთ დაცულ ტერიტორიაზე არ გვხვდება. ენდემიზმის დონე აქ გასაოცარია. ლაგოდეხის ფლორის 121 სახეობა კავკასიის, ხოლო 9 საქართველოს ენდემია. ამ უკანასკნელთაგან 7 თავად კახეთის ვიწრო ენდემს წარმოადგენს.
ლაგოდეხი საუკეთესოდ შემონახული ტყეებით არის განთქმული, რომელთა დიდი ნაწილი სრულიად ხელუხლებელია. მათ შორისაა წიფლისა და რცხილას ქალწულებრივი ტყეები, რომელთა ანალოგი საქართველოში სხვაგან არსად გვხვდება. აქა-იქ პატარ-პატარა ნაკვეთებად გვხვდება ქართული მუხის ტყე და შერეული ფოთლოვანი ტყეები. სუბალპურ სარტყელში, ჯერ ნეკერჩხლის კორომებს, შემდეგ კი მაღალმთის მუხის ტყეს შეხვდებით. სუბალპური და ალპური მდელოების საზღვარი კი, როგორც თითქმის ყველგან კავკასიაში, დაბალ, თოვლისგან და ზვავებისგან დაბრეცილ არყის ხის ტყეს უკავია. ზღვის დონიდან დაახლოებით 2300 მეტრზე ტყის ზოლი არყნარით მთავრდება და ადგილს მარადმწვანე დეკის ბუჩქნარს უთმობს, რომელიც ლაგოდეხში დაახლოებით 2700 მეტრამდეა გავრცელებული.
ალპური კლდეები აღმოსავლეთკავკასიური ჯიხვისა და მისი ფრთოსანი მეზობლის _ კავკასიური შურთხის სამფლობელოა. მათზე ოდნავ დაბლა ცხოვრობენ არჩვები. ამ ლამაზი მთის ანტილოპის ნახვა ლაგოდეხში ჯიხვის უშუალო სიახლოვესაც შეიძლება. ლაგოდეხში ადვილად ნახავთ ირემსაც, რომელიც ჩვეულებრივ ფოთლოვანი ტყის ბინადარია, მაგრამ აქ ხშირად ალპურ მდელოებზეც ადის. ტყეებში კი საკმაოდ ხშირია შველი - ეს მომცრო, სწრაფი და წვრილ ფეხებზე მდგარი ცხოველი ჩვენი ბუნების ერთ-ერთი ყველაზე გრაციოზული და ლამაზი ბინადარია. ლაგოდეხის ჭალებში ბინადრობს გარეული ღორი _ მასიური, ძლიერი და საკმაოდ გონიერი ცხოველი.

ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე გავრცელებული მტაცებლებიდან ყველაზე დიდი მურა დათვია, რომლის კვალს აქაურ ტყეებსა და მთებში თითქმის ყველგან ნახავთ. სხვა მტაცებლებიდან გვხვდება მგელი, მელა, ფოცხვერი, ტყისა და კლდის კვერნები და ტყის კატა.
მრავალფეროვანია ლაგოდეხის ნაკრძალის ორნითოფაუნა. ალპური იალაღების თავზე მთის არწივები, ბატკანძერები და ორბები დალივლივებენ. ნაკრძალში მრავლად არიან კირკიტები და კაკაჩები. აგრეთვე გვხვდება რამდენიმე სახის ბუ.
ლაგოდეხის მთებში შურთხის სიახლოვეს ცხოვრობს როჭოც. მთაშივე შეიძლება კაკბების გუნდის ნახვა. პაწაწინა წითელთავა მთიულებიც და თეთრგულა შაშვებიც მთის ბინადარნი არიან. გრძელნისკარტა და ძალიან ლამაზი წითელფრთიანი კლდეცოციაც წელიწადის თბილ ნაწილს მთაში ატარებს და მხოლოდ ზამთრის პირზე ეშვება ბარში.

რამდენიმე სახეობის კოდალა, გუგული, ყვითელგულა მოლაღურები, მთის მდინარეებში თამამად მყვინთავი წყლის შაშვები, წინკანები, ხეცოციები, ჭინჭრაქები, წიფლიები... ყველა ეს და კიდევ მრავალი სახეობის პატარა და შედარებით დიდი ფრინველი ლაგოდეხის ის ბინადარნი არიან, რომელთაც ნაკრძალში შესული ადამიანი პირველ რიგში ხედავს, მათი ხმა მუდმივად ესმის და დიდრონი წიფლის ტყეებითა თუ სუბალპური არყნარებით მიღებულ შთაბეჭდილებას ვერასოდეს ივიწყებს.

ტურისტული მარშრუტები ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე

1. "ლაგოდეხის ჩანჩქერი"

მარშრუტი იწყება დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციიდან, მიემართება მდინარე შრომის ხევის მარცხენა მხარეს, საფეხმავლო ბილიკით შედის ხეობაში და გზას ჩანჩქერამდე მიუყვება. ვიზიტორებს საშუალება ეძლევათ ნახონ: ხელუხლებელი ფართოფოთლოვანი ტყე, სხვადასხვა სახეობის საუკუნოვანი ხეები, კლდეებიდან გადმონადენი წყაროები და მინერალური გოგირდოვანი წყლები. გზაზე შეიძლება შეხვდეთ: შველს, ირემს, გარეულ ღორს, დაინახოთ მდინარეში მცურავი კალმახი...
მარშრუტის ხანგრძლივობა - ერთი დღე, 5 - 6 სთ.
სიგრძე - 7 კმ.

2. "გურგენიანის ჩანჩქერი"

ვიზიტორები ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციიდან სოფელ გურგენიანში, ნინოს ხევის ხეობის დასაწყისამდე, ავტომანქანით მიემართებიან. შემდეგ გზას აგრძელებენ ფეხით და ჩანჩქერამდე ვიწრო ბილიკს მიუყვებიან. გზად ვიზიტორები ნახავენ მრავალსაუკუნოვან ცაცხვის ხეს, კლდეებზე გამომდინარე ანკარა წყაროებს. შეიძლება შეხვდნენ: ირემს, შველს, გარეულ ღორსა და მტაცებელ ფრინველებს.
მარშრუტის ხანგრძლივობა - ერთი დღე. სიგრძე - 8 კმ.

3. "მაჭის ციხე"

მარშრუტი იწყება ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციიდან, სოფელ მაწიმის უბნიდან და ბილიკით მიუყვება მდინარე "მაწიმჩაის" პარალელურად "მაჭის ციხემდე". თქვენ გეძლევათ საშუალება მოინახულოთ ძველი ციხე-ქალაქი გარშემორტყმული გალავნით, პატარა ეკლესიით, მიწისქვეშა გასასვლელებითა და ოდესღაც იქ მდგარი შენობების ნანგრევებით.
მარშრუტის ხანგრძლივობა - ერთი დღე, 3 სთ.

4. "შავი კლდეების ტბა"

მარშრუტი იწყება ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციიდან. ვიზიტორები მანქანით მიემართებიან სოფელ მაწიმისკენ, შემდეგ საცხენოსნო ბილიკით მიუყვებიან ალპურ ზონას და სახელმწიფო საზღვრის პარალელურად, შავი კლდეების ტბის მიმართულებით გადადიან. ვიზიტორებს საშუალება ეძლევათ გადაადგილდნენ ცხენებით, ღამე გაათენონ კარვებში და იქირაონ შესაბამისი აღჭურვილობა.
პირველი შესვენება (კემპინგი) - წყაროს მიდამოებში, მეორე - შავი კლდეების ტბის მიდამოებში, მესამე - მთა ნინიგორას მიდამოებში.
მარშრუტის ხანგრძლივობა - 3 დღე.
სიგრძე - 50 კმ (წრიული).

საქართველოს დაცული ტერიტორიები

1996 წელს საქართველოს პარლამენტმა, გაითვალისწინა რა ჩვენი ქვეყნის თვითმყოფადი და უნიკალური ბუნებრივ-კულტურული გარემოს მნიშვნელობა, მიიღო კანონი "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ". ეს კანონი ქმნის იურიდიულ საფუძველს დაცული ტერიტორიების დასაარსებლად, რომელთა დანიშნულებაა დაიცვას ქვეყნის ღირსშესანიშნავი ბუნებრივი გარემო და ძვირფასი კულტურული მემკვიდრეობა.

შედეგად, საქართველოში დაკანონდა საერთაშორისო კრიტერიუმებისა და ნორმების შესატყვისი დაცული ტერიტორიების კატეგორიები და მათი ჩამოყალიბების პროცედურა, რომელიც კონსერვაციის მსოფლიო კავშირის (IUCN – The World Conservation Union) რეკომენდაციებს ემყარება.

ამ კანონის მიხედვით საქართველოში შეიძლება არსებობდეს შემდეგი სახის დაცული ტერიტორიები:

დაცული ტერიტორია	მიზანი	კატეგორია (IUCN)
სახელმწიფო ნაკრძალი	მკაცრი დაცვა, საგანმანათლებლო და არამანიპულაციური კვლევები სპეციალური ნებართვით	I
ეროვნული პარკი	ეკოსისტემის კონსერვაცია, განათლება, ტურიზმის განვითარება	II
ბუნების ძეგლი	ბუნების თავისებურებების კონსერვაცია (მცირე ზომის განსაკუთრებული ტერიტორიის დაცვა)	III
აღკვეთილი	ბუნების დაცვა და შენარჩუნება აქტიური მართვის გზით	IV
დაცული ლანდშაფტი	ლანდშაფტის და/ან ზღვის აკვატორიის კონსერვაცია და ტურიზმის განვითარება	V
მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია	ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება	VI

დაცული ტერიტორიების სააგენტო
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
ქ. თბილისი, გულუას ქ. 6, V სართული
ტელ./ფაქსი: 75 23 53, ელ-ფოსტა: info@apa.gov.ge
ვებ-გვერდი: www.apa.gov.ge

ლაგოდეხის დაცული
ტერიტორიების ადმინისტრაცია
ქ. ლაგოდეხი, დ. აღმაშენებლის ქ.№ 89
ტელ. 8 77 101 890, (8 254) 2-27-15
ვებ-გვერდი: www.lagodekhipa.ge


ინფრასტრუქტურა
შესასვლელი
ადმინისტრაციული და ვიზიტორთა ცენტრი
რეინჯერის სადგური
თავლა
სასტუმრო
გზამკვლევი
საპიკნიკე ადგილი
(ტუალეტი, ნაგვის ურნა, ცეცხლის დასანთები ადგილი, მაგიდა)
ჩანჩქერი
ხიდი
საკემპინგე ადგილი
(ტუალეტი, ნაგვის ურნა, ცეცხლის დასანთები ადგილი, მაგიდა)
ციხე
ბილიკი
საქართველო
რუსეთის ფედერაცია
შავი ზღვა
სოხუმი
ფოთი
ბათუმი
თბილისი
ლაგოდეხი
თურქეთი
სომხეთი
აზერბაიჯანი
მასშტაბი 1:2,500,000
0 12.5 25 50 75 კმ
დაცული ტერიტორიები
საქართველოს დაცული ტერიტორიები
ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები
სავარაუდო დაცული ტერიტორიები
დასახლებული პუნქტები
დედაქალაქი
ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქი
ქალაქები
რეგიონის ცენტრი
საზღვრები
სახელმწიფო
ავტონომიური რესპუბლიკის
რეგიონის
გზები
მთავარი
ადგილობრივი მნიშვნელობის
რკინიგზა
ტბები და წყალსაცავები
მდინარეები
ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები
-მანძილი: თბილისი ლაგოდეხის მიმართულებით - 170კმ.
-დრო: ავტომობილით - 2,5სთ.
რუსეთის ფედერაცია
აზერბაიჯანი
დიდი ჩანჩქერი
სალი კლდე
პრინცის ბინა
გურგენიანი
პატარა ჩანჩქერი
მეტეო
მიტოს სერი
ცენტრალური შესასვლელი
ლაგოდეხი
მაჭის ციხე
მაციმი
3.6 კმ
2.2 კმ
1.9 კმ
2.1 კმ
2.6 კმ
8.6 კმ
4.4 კმ
46°10'0"E
46°12'30"E
46°15'0"E
46°17'30"E
46°20'0"E
46°22'30"E
46°25'0"E
42°2'30"N
42°0'0"N
41°57'30"N
41°55'0"N
41°52'30"N
41°50'0"N
41°47'30"N
პირობითი აღნიშვნები
ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები
ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი
ლაგოდეხის აღკვეთილი
ჯიხვის გავრცელების არეალი
სახელმწიფო საზღვარი
დასახლებული პუნქტები
ადმ. რაიონის ცენტრი
საკრებულო
სოფელი
გზები
მთავარი გზა
ადგილობრივი მნიშვნელობის გზა
სოფლის გზა
საურმე გზა
ბილიკი
ჰიდროლოგია
ტბები
მდინარეები
წყაროები
არტეზიული ჭები
წყალსაცავი
2420 სიმაღლე ზღვის დონიდან (მ)
IV-X გავლის პერიოდი (თვე)
უღელტეხილი
2441 სახელწოდება, სიმაღლე ზღვის დონიდან (მ)
გრადუსული ბადე: 46°25' 0"E
გრძედი / განედი - ყოველ 2 მინუტსა და 30 სეკუნდში. გამოსახულია გრადუსებში, მინუტებსა და სეკუნდებში.
მეტრული / ინგლისური
1 კმ = 1.000 მეტრი = 0.62 მილი
2 კმ = 1.24 მილი
1 მილი = 1.61 კმ
მეტრულიდან ფუტებში სიმაღლის გადაყვანის დროს მაჩვენებელი გაამრავლეთ 3.28-ზე.
მასშტაბი 1 : 55,000
1 სმ = 0.550000 კმ
1 ინჩი = 0.868056 მილი
0 0.5 1 2 კმ
0 0.5 1 2 მილი

ლაგოდეხის ნაკრძალის ადმინისტრაციული შენობა და ვიზიტორთა ცენტრი